საქართველოს ფინანსთა მინისტრის

ბრძანება №42

2023 წლის 14 თებერვალი

ქ. თბილისი

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

მუხლი 1

„ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 22 ნოემბრის №1226 ბრძანებით (სსმ III, 29.11.2007 წ., №169, მუხლი 1871) დამტკიცებულ დანართ №2-ში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) ბიუჯეტის განმკარგველი – 4321 – ა(ა)იპ – სპორტული ცენტრი „ლილო“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„681	4321	ა(ა)იპ – ისანი-სამგორის კომპლექსური სპორტული ცენტრი“;

ბ) ამოღებულ იქნეს შემდეგი ბიუჯეტის განმკარგველი:

„914	4554	ა(ა)იპ – ახმეტის მუნიციპალიტეტის სამუსიკო სკოლების გაერთიანება“;

გ) ბიუჯეტის განმკარგველი – 4559 – „ააიპ – ახმეტის მუნიციპალიტეტის ბესიკ მამიაურის სახელობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახელოვნებო და შემეცნებითი სკოლა“ ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„919	4559	ა(ა)იპ – ახმეტის მუნიციპალიტეტის ბესიკ მამიაურის სახელობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახელოვნებო, შემეცნებითი და სამუსიკო სკოლების გაერთიანება“;

დ) ბიუჯეტის განმკარგველის – 5159 – ა(ა)იპ – „მესტიის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული თვითმმართველობა“ შემდეგ დაემატოს შემდეგი ბიუჯეტის განმკარგველი:

„1520	5160	ა(ა)იპ – „საკალათბურთო კლუბი – გურჯაანის დელტა“.

მუხლი 2
ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს ფინანსთა მინისტრი **ლაშა ხუციშვილი**